



ა(ა)იპ ქ. თბილისის განვითარების ფონდი

კონკურსი

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების
კონცეფციის შემუშავებაზე (პროექტი)

ქ. თბილისი

2015

1. შესყიდვის ობიექტი: ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფცია (პროექტი) (იხ, ტექნიკური დავალება);

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 300 000.00 (სამასი ათასი) ლარი - დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას. (მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღების ანგარიშის/სახაზინო კოდი: 707797130).

4.1 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. შეფასების კრიტერიუმები:

5.1 საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

5.1.1 კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა: კოეფიციენტი – 0,4

5.1.2 გამოცდილება: კოეფიციენტი -0,3

5.1.3 საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი –0,3

5.2 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

6. პრეტენდენტთა მიერ წარმოსადგენი პირველადი საკონკურსო წინადადება და დოკუმენტები:

6.1 გამოცდილება:

პრეტენდენტს (სამუშაო ჯგუფს) განხორციელებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 პროექტი, მათ შორის შემდეგი მიმართულებებით:

- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუშაობისა და ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების შემუშავება;
- ისტორიული ურბანული დასახლებების კვლევა;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ქალაქმშენებლობით სფეროებში კონცეფციებისა და მეთოდური ინსტრუქციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საინჟინრო-კონსტრუქციული სამუშაოების წარმოების გამოცდილება.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-გამაგრება და რეაბილიტაცია;
- პრეტენდენტს ასევე მოეთხოვება სპეციალისტთა ჯგუფის მართვის გამოცდილება;

პრეტენდენტები უნდა იცნობდნენ კულტურული ლანდშაფტების /ისტორიული ურბანული ქსოვილის კვლევის საერთაშორისო გამოცდილებას და გააჩნდეთ სათანადო კვლევის მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა;

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს როგორც საკუთარი რეზიუმე და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ჯგუფის (ორგანიზაციის) შემთხვევაში სპეციალისტების რეზიუმეები შესაბამისი გამოცდილების ჩვენებით და მსგავს პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები საკუთარი პოზიციის მითითებით.

6.2 სადემონსტრაციო მასალა:

- პრეტენდენტის კონცეპტუალური ხედვა თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების შესახებ ტექსტისა და სხვა ვიზუალური მასალის გამოყენებით;
- კონცეფტუალური ხედვის შესაბამისად სამუშაოების განხორციელების გრაფიკი;
- პროექტის ბიუჯეტი.

შენიშვნა: სადემონსტრაციო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ბეჭდური (არანაკლებ სამი ეგზემპლარი) ისე ელექტრონული სახით.

6.3 რეკვიზიტები (დანართი1)

7. საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2015 წლის 09 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით 17:00 საათამდე;

8. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 13 მარტს 17:30 საათზე პრეტენდენტების თანდასწრებით (პრეტენდენტ(ის)თა გამოუცხადებლობა არ გამოიწვევს საკონკურსო წინადადებ(ის)ების დისკვალიფიკაციას);

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდილი და ხელმოწერით დადასტურებული და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (ელექტრონული ვერსია – კომპაქტური დისკების - CD სახით, მყარი ასლების სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 48, თბილისის განვითარების ფონდი, 2015 წლის 13 მარტის ჩათვლით, 17:00 საათამდე.

9. დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

10. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

10.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

10.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

10.4 თუ საკონკურსო წინადადება არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს ან/და წარმოდგენილია 4.1. პუნქტის დარღვევით.

11. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების დადება:

11.1 კონკურსის ჩატარების თარიღიდან (2015 წლის 13 მარტიდან) არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მოხდება პრეტენდენტთა საკონკურსო წინადადებების შერჩევა/შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

11.2 გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

12. ანგარიშსწორების პირობები:

12.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით - დღგ-ს ჩათვლით.

12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარისწორებით ლარში ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ბიუჯეტის სახსრებით.

12.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

12.4 შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმი ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20% ოდენობით, გამარჯვებულის მიერ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.

13. საბოლოო შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები:

13.1 საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად: ელექტრონული ვერსია - კომპაქტური დისკების - CD სახით 3 ეგზემპლარი, მყარი (ბეჭდური) ასლების სახით 3 ეგზემპლარი, შესაბამისი რუკები.

14. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება
საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

16. ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ზუბალაშვილების 48, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: გვანცა ბერუჩაშვილი ტელ: +995 99 555 785.

დანართი 1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

საბანკო ანგარიშის ნომერი:

ტექნიკური დავალება

თბილისის ისტორიული ნაწილი, როგორც ურბანული მემკვიდრეობის მეტად საინტერესო და თვითმყოფადი ნიმუში, რთულ და მრავალპლანიან მხატვრულ და კულტურულ-ისტორიულ ფენომენს წარმოადგენს. მასში შერწყმულია, როგორც შუასაუკუნოვანი ბირთვი თავისი გეგმარებით, ქუჩათა ქსელით, საკულტო ნაგებობებით და საცხოვრებელი სახლებით, ასევე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული რეგულარული დაგეგმარებით და სხვადასხვა სტილის თბილისური ინტერპრეტაციის არქიტექტურული ძეგლებით განაშენებული ახალი უბნები.

ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, ბუნებრივმა კატასტროფებმა, ეკონომიკური რყევის შედეგებმა თავისი დადი დაასვა ძველ ქალაქს. შესაბამისად, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა განპირობებულია რთული ურთიერთგადაჯაჭვული პრობლემების ერთობლიობით, რამაც XX საუკუნის II ნახევარში ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია: ხშირ შემთხვევაში ურბანული გარემოს ცვლილება, კერძოდ, მისი სტრუქტურის რღვევა, ურბანული ქსოვილის სახეცვლა.

ამ პროცესის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია ნაგებობების ნგრევა, რაც თავის მხრივ სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, ესენია:

- შენობების ხანდაზმულობა;
- შეუფერებელი ექსპლოატაცია;
- შენობების არასათანადო მოვლა-პატრონობა;
- გრუნტის წყლები;
- საინჟინრო კომუნიკაციების გაუმართაობა, რაც განსაკუთრებით აგრესიულ ზემოქმედებას ახდენს ძველი შენობების საძირკვლებზე;
- ქალაქის ისტორიულ უბნებში მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე, შესაბამისად, არადამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები;
- ურბანული ქსოვილის და თვით შენობა-ნაგებობების სტრუქტურაში უხეში ჩარევის შედეგად გამოწვეული, უბნების ისტორიულად ჩამოყალიბებული იერსახის შეცვლა და მისი ავთენტურობის დაკარგვა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია, ამიტომ საჭიროა შემუშავდეს ქალაქის ისტორიული ნაწილის შენარჩუნების, რეგენერაციისა და განვითარების კონცეფცია სათანადო კვლევების საფუძველზე.

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისი, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილში შედგება არაერთგვაროვანი ტერიტორიულ-ფუნქციურ-არქიტექტორული მახასიათებლებისაგან, იგი მოითხოვს კულტურული ფასეულობის (უძრავი ძეგლების) გადარჩენა-შენარჩუნებისათვის დიფერენცირებულ გეგმარებით-სარეკონსტრუქციო-საადაპტაციო და კონკრეტულ შემთხვევაში სარესტავრაციო მეთოდოლოგიის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის განვითარების კონცეფციის შემუშავება ემსახურება ძეგლის სტატუსის მქონე შენობების და ისტორიული ლანდშაფტის ავთენტურობისა და მთლიანობის დაცვას, მართვის გაუმჯობესებას, რაც აუცილებელია საფრთხის წინაშე მყოფი ძეგლების გადარჩენისათვის. სამუშაოს ფარგლებში უნდა ჩატარდეს დეტალური კვლევა და შეიქმნას სახელმძღვანელო პრინციპები ტერიტორიის სივრცითი განვითარების რეგულირებისათვის საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო გამოცდილების შესაბამისად.

ძირითადი პირობები

დოკუმენტი უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკის შესაბამისად.

სამუშაოებმა უნდა გამოავლინოს თბილისის ისტორიული ნაწილის ლანდშაფტური გარემოს განსაკუთრებული ფასეულობა და განსაზღვროს მისი დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების/საზღვრების დადგენა.

სამუშაოს შესრულების პროცესში, მეთოდოლოგიის შერჩევასა გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოში ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების შემუშავების გამოცდილება. შესაბამისად, სასურველია მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის თანამედროვე გეო-საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციის, შენახვისა და გაცვლის ინსტრუმენტების გამოყენება.

სამუშაო პროცესში კვლევის არეალად მიღებულ იქნას ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ძირითად რუკაზე შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელიც შესაბამემა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების დანართით დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლების ნუსახში მოცემულ ობიექტებს (1768 ობიექტი).

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს მას ინფორმაციას. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები.

მომსახურების გეგმა განსაზღვრავს მის მიმდინარეობას და შემსყიდველისათვის შესაბამისი მასალის ეტაპობრივად წარუდგენას:

1. ზოგადი კონცეპტუალური ნაწილი;
2. ურბანული ზონების გამოყოფა;
3. ზონების მიხედვით ურბანული ქსოვილის ანალიზი;
4. დასკვნითი ნაწილი.

გასაწევი მომსახურება

გასაწევი მომსახურება მოიცავს: ქ. თბილისის ისტორიული განაშენიანების დაცვის და განაშენიანების რეგულირების ზონებში განვითარების კონცეფციის მომზადებას.

კონცეფცია წარმოადგენს კომპლექსურ დოკუმენტს და შედგება საინფორმაციო, ანალიტიკური და დასკვნითი ნაწილებისგან.

საინფორმაციო ნაწილი დაფუძნებული უნდა იყოს ტერიტორიის ძირითადი მახასიათებლებისა და დაფარვით ინვენტარიზაციაზე. ასევე, უნდა მოხდეს ამ მიმართულებით ადრე ჩატარებული სამუშაოების შედეგების შესწავლა და შეფასება.

ანალიტიკური ნაწილი უნდა მოიცავდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ზოგად დახასიათებას, ისტორიულ-კულტურულ ანალიზს, რომელიც დაეფუძნება ძველი ქალაქის ისტორიული ნაწილის ცალკეული ზონებისა და განაშენიანების განვითარების ეტაპების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპების და ძირითადი მახასიათებლების, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენური უბნების საზღვრების იდენტიფიკაციას, კონსერვაციისა და განვითარების არელების დადგენას და აღნიშნულის გათვალისწინებით დასაცავ ფასეულობათა მდგომარეობისა და დანაკარგების შეფასებას.

დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის ძირითად დებულებებს და განვითარების პრინციპებს, შესაბამის თემატურ რუკებს, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხას, დამცავ ზონებში დასაშვები ქმედებების რეკომენდაციებს, ქმედებების პრიორიტეტულობას, თავისუფალი სივრცეების გამოყენების პირობებს, რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის საკითხებს და სხვა.

ჩასატარებელი სამუშაოს აღწერილობა:

1. თბილისის ისტორიულ ნაწილზე უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობის აღნუსხვა და რეალური მდგომარეობის ვიზუალური შეფასება (ფოტო-ფიქსაცია) და ამ არეალის ძირითადი ნიშან-თვისებების განსაზღვრა;
2. თბილისის ისტორიულ ნაწილში ზონების განსაზღვრა და ამ ზონებში გასატარებელი ღონისძიებების სახეობების შემუშავება (დასაშვები-რეკომენდირებული, როგორც კულტუროლოგიური, ისე საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით);

- 3 გამოიყოს პრიორიტეტები ცალკეული ზონების მიხედვით;
- 4 აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები პრეტენდენტის მიერ განსაზღვრული ზონების ურბანულ-არქიტექტურული, ისტორიული და ფუნქციური პოტენციალის შესანარჩუნებლად;
- 5 დამკვეთის მიერ წინასწარ შემუშავებული ბარათის ფორმის საფუძველზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება ფიზიკური მდგომარეობის, მხატვრული ღირებულების, საკუთრების უფლებების, ოჯახების რაოდენობისა და სხვა მონაცემების მიხედვით;
- 6 შეგროვებული მასალის საფუძველზე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ღონისძიებების პრიორიტეტულობა ავარიულობის ხარისხის გათვალისწინებით;
- 7 შემუშავდეს ძეგლების შენობა-ნაგებობების კლასიფიკატორი;
- 8 ურბანული ქსოვილის გაუმჯობესების გეგმა უბნების მიხედვით;
- 9 თითოეულ უბანში არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის ზოგადი შეფასება, ინფორმაციის მოპოვება და მათი განვითარების პერსპექტივა;
- 10 მოკვლეულ იქნეს ინფორმაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მესაკუთრეებთან ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

შენიშვნა: ყველა კონკურსანტს ფონდი სამუშაოს შესრულებისთვის გადაცემს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, მათ შორის:

- საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების დანართით დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლების ნუსახს (PDF ფორმატში);
- ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ძირითად რუკას და მის საფუძველზე შედგენილ ბარათებს (ელექტრონულ ფორმატში);
- ყოფილი ძველი თბილისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული შენობების ფიზიკური მდგომარეობის ამსახველ რუკას (ელექტრონულ ფორმატში, 2006 წ.) ;
- საჭიროების შემთხვევაში ფონდში დაცულ სხვა დოკუმენტაციას (შესაბამის ფორმატში).

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №15-0---
კონკურსის SPA ნომერი, კლასიფიკატორის კოდი

ქ. თბილისი

----- 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის თემურ ხომერიკის სახით და მეორეს მხრივ, -----, (მის: ქ. თბილისი, -----, ს/კ 236096675, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ----- ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა -----, ტელ: -----) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო მომსახურება.**

2.2 შესყიდვის საშუალება: კონკურსი.

2.3 შესყიდვის საფუძველი: „სახელმწიფო შეყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანება №3.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (------) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.7 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2015 წლის ----- ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- ჩათვლით.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. 48;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების დროულად და ჯეროვნად შესრულებაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს(ებს).

5.3 შესყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგინდეს ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო მომსახურებით. თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მიღება - ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

6.3 შესასყიდი ობიექტის მიღებას აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.4 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნადლო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების და შესაბამისი დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და შესასყიდი ობიექტის ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1 რისკების თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია ----- ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემდეგ (მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტის გაფორმების შემდეგ), საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება მოთხოვნისთანავე. ასევე, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს გარანტია, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.

12. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი

თავმჯდომარე

თემურ ხომერიკი

მიმწოდებელი

დირექტორი

დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას